



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გურგენიძე გიორგი გურამის ძე

გურგენიძე გიორგი გურამის ძე (დ. 14. VII. 1963, თბილისი), თერაპევტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (2000). 1985 დაამთავრა თბილისის სახელმწ. სამედ. ინ-ტის (თსსი) სამკურნალო ფაკ-ტი. 1985–97 სამეცნ.-კვლ. და პედ. საქმიანობას ეწეოდა თსსუ-ის ალერგოლოგიისა და შინაგან სნეულებათა კათედრებზე. იყო აღნიშნული კათედრების პროფესორი. 2003-იდან აკად. ო. ლუდუშაურის სახ. ეროვნ. სამედ. ცენტრის თერაპიული სამსახურის უფროსია, შემდეგ – ამავე ცენტრის შინაგან სნეულებათა დეპარტ. მთავარი სპეციალისტი. გ-ს კვლევის ძირითადი მიმართულებაა – კონსტიტუციური თავისებურებების (ანომალიების) შესწავლა ატოპიურ დაავადებათა დროს და მათი კორექციების გზები, სტეროიდ-რეზისტენტული ბრონქული ასთმით დაავადებულთა კლინ.-იმუნოლოგიური თავისებურებების გამოვლენა, მათი კორექციის გზების ძიება და სხვ. გ. არის საქართვ. ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა ასოციაციის, საქართვ. რესპირაციული საბ-ბის წევრი. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. სტატია, მ. შ. 1 სახელმძღვანელო.
